

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

5 ოქტომბერი, 2021 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|---------------------|----------------------|
| 1. მაია არჩუაძე; | 5. მირანდა მიქაძე; |
| 2. დემურ სიჭინავა; | 6. სალომე ჩიტიშვილი; |
| 3. ანა თოხაძე; | 7. ირაკლი ლეონიძე. |
| 4. დავით მახვილაძე; | |

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა;
2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა;
3. საარჩევნო კომისიის წინა სამუშაო შეხვედრების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცება გამოხატული პოზიციებისა და კენჭისყრის შედეგების უცვლელად;
4. იურიდიული ფაკულტეტის ამომრჩეველთა სიაში ამავე ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტების გათვალისწინების მიზნით თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისაგან იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტების სიის გამოთხოვის საკითხი.

პირველი, მეორე და მესამე საკითხები დღის წესრიგში შეყვანილ იქნა ერთხმად, ხოლო მეოთხე საკითხი — ხმათა უმრავლესობის, კომისიის 5 (ხუთი) წევრის მხარდაჭერით.

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

საარჩევნო კომისიის წევრმა, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს გააცნო რექტორის 2021 წლის 5 ოქტომბრის № 192/01-01 ბრძანება „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 17 სექტემბრის N165/01-01 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“ (დანართი № 1), რომლის თანახმად, 2021 წლის 17 სექტემბრის № 165/01-01 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის

გასწორების მიზნით, ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ შემდეგი სახით: „ა) მაია არჩუაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი. კომისიის წევრი“. აღნიშნული ცვლილება გახდა საარჩევნო კომისიის წევრების მიერ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატის დასახელებისა და მისი ფარულად არჩევის საფუძველი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატად კომისიის ყველა წევრის მიერ დასახელებულ იქნა საარჩევნო კომისიის წევრი, ქ.-ნი მაია არჩუაძე — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის წევრები. მომხრე: კომისიის ყველა წევრი.

დაადგინეს:

აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას საარჩევნო კომისიის წევრი, ქ.-ნი მაია არჩუაძე — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა.

საარჩევნო კომისიის მდივნის კანდიდატად კომისიის ყველა წევრის მიერ დასახელებულ იქნა საარჩევნო კომისიის წევრი, ქ.-ნი ანა თოხაძე — იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის წევრები. მომხრე: კომისიის ყველა წევრი.

დაადგინეს:

აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის მდივნად არჩეულ იქნას საარჩევნო კომისიის წევრი, ქ.-ნი ანა თოხაძე — იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი.

3. საარჩევნო კომისიის წინა სამუშაო შეხვედრების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცება თითოეულ საკითხზე გამოხატული პოზიციებისა და კენჭისყრის შედეგების უცვლელად.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ფარული კენჭისყრით არჩევის შემდგომ, კომისიამ იმსჯელა წინა პერიოდში ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების უცვლელად დამტკიცების თაობაზე. კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს საარჩევნო კომისიის წინა სამუშაო შეხვედრების ფარგლებში განხილულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების (დანართი № 2) დამტკიცებას გამოხატული პოზიციებისა და კენჭისყრის შედეგების უცვლელად.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს საარჩევნო კომისიის წინა სამუშაო შეხვედრების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები გამოხატული პოზიციებისა და კენჭისყრის შედეგების უცვლელად (დანართი № 2).

4. იურიდიული ფაკულტეტის ამომრჩეველთა სიაში ამავე ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტების გათვალისწინების მიზნით თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისაგან იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტების სიის გამოთხოვის საკითხი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კონსულტანტმა — ბ.-ნმა დავით მახვილამძემ აზრი გამოთქვა საარჩევნო სიების დამტკიცების საკითხზე და მნიშვნელოვანი პრობლემის სახით გამოკვეთა იურიდიული ფაკულტეტის ამომრჩეველთა სიის დამტკიცება, ამავე სიაში ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტების გათვალისწინების გარეშე. მან იმსჯელა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების იმ ნორმატიულ დანაწესებზე, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას ფაკულტეტის საბჭოების საქმიანობაში და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობას აკადემიური საბჭოს არჩევნებში. მან აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისგან დამოუკიდებელია და კანონმდებლობით დადგენილია ის მინიმალური ოდენობა, რომელიც უნდა ფიქსირდებოდეს ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სახით. მისი თქმით, ფაკულტეტების საბჭოებში სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების მონაწილეობას უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობა და პირველი წყარო ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თაობაზე ინფორმაციისა არის თავად სტუდენტური თვითმმართველობა. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას სცდება არჩევნების საორგანიზაციო საკითხების ფარგლებს გარეთ საკითხების განხილვა, რომელთა შესახებ ხსენებული იყო კომისიის სხდომებზე იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელი კომისიის წევრების მიერ. მისი მოსაზრებით, საარჩევნო კომისიამ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს საარჩევნო პროცესში მონაწილე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სუბიექტთა - ამომრჩეველთა სრული ჩართულობა.

ბ.-ნი დავითის მოსაზრებას დაეთანხმნენ და ანალოგიური შინაარსის პოზიცია მოკლედ დააფიქსირეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორმა, ბ.-ნ დემურ სიჭინავამ;

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწემ, ქ.-ნ სალომე ჩიტიშვილმა; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ქ.-ნ მირანდა მიქაძემ.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გამოთქვა მისი პოზიცია, რომლის თანახმად, ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილებას განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობა და რაკი სწორედ სტუდენტური თვითმმართველობიდან შედიან დელეგატები ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში, მართებულად უნდა იქნას მიჩნეული იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სიის გამოთხოვა უშუალოდ სტუდენტური თვითმმართველობისაგან. მისი თქმით აღნიშნული მოსაზრება საარჩევნო კომისიის წინა სამუშაო შეხვედრაზე იქნა ინიცირებული, კერძოდ, „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად: „*საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით*“. მისი მოსაზრებით, ვინაიდან დაუშვებელია აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა, მართლებული იქნება საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება სტუდენტური თვითმმართველობისაგან იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სიის გამოთხოვაზე. შესაბამისად, ქ.-ნმა მაიამ კომისიის წევრებს წარუდგინა წინადადება იურიდიული ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სიის სწორედ სტუდენტური თვითმმართველობისგან გამოთხოვის თაობაზე.

საკითხზე აზრი გამოთქვა იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტმა, ქ.-ნმა ანა თოხაძემ, რომელმაც კიდევ ერთხელ გააჟღერა იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საჯარო [მიმართვისა](#) და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფ. თამარ ზარანდიას ა/წ 1 ოქტომბრის წერილი № 20014/31-05 წერილის შინაარსი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტი აღიარებს და ცნობს სტუდენტთა პასიურ საარჩევნო უფლებას აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ისევე, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის ზოგად როლს საუნივერსიტეტო პროცესებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ქ.-ნ ანას მოსაზრებით, სტუდენტთა უფლებების თემატიკაზე მსჯელობისას აუცილებელია, აღინიშნოს სტუდენტთა ის უფლებაც, რომელიც უზრუნველყოფს ახალი მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის წევრად არჩევის შესაძლებლობას და რომელიც შელახულ იქნა მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის როგორც ძირითადი ორწლიანი, ისე დამატებითი ექვსთვიანი ვადის ამოწურვის შემდგომ მათივე დებულების ნორმათა არაკეთილსინდისიერი ინტერპრეტაციითა და არალეგიტიმური საშუალებით უფლებამოსილების ხელოვნური გაგრძელების შედეგად. მისი პოზიციით, „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის“ მე-7 მუხლი ცალსახად საზღვარვს იმ სუბიექტთა წრეს, რომლისგან არის შესაძლებელი საარჩევნო სიის გამოთხოვა, მასში კი სტუდენტური თვითმმართველობა არ მოიაზრება. კომისიის გადაწყვეტილება, შევსებულ იქნას იურიდიული ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ამომრჩეველთა სია მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობისაგან გამოთხოვილი სიით, იქნება ზემოხსენებული ნორმის დარღვევა, საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების, კომპეტენციის გადაჭარბება და იურიდიული ფაკულტეტის ავტონომიაში უხეში შეჭრა. ქ.-ნმა ანამ შეახსენა კომისიის წევრებს, რომ მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობისგან სიის გამოთხოვითა და მათი დელეგატებისათვის ხმის უფლების მინიჭებით, საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს შესაბამისი უფლებამოსილების არმქონე

პირების საარჩევნო პროცესში მონაწილეობას. მან დაამატა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა უფლებამოსილების ცნობას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო, ამდენად, ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის ამსახველი სია გამოთხოვილ უნდა იქნეს მხოლოდ შესაბამისი ფაკულტეტისაგან. იურიდიული ფაკულტეტის გადაწყვეტილების შეფასება კი საარჩევნო კომისიის წევრის მიერ „მოსამართლის მანტიის“ მოსხმას უტოლდება. შესაბამისად, ქ.-ნმა ანამ კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით, კენჭი ეყაროს საარჩევნო თარიღის გადავადებას, ვიდრე არ მოხდება ახალი მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირება.

საკითხს გამოეხმაურა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის სპეციალისტი, ბ.-ნი ირაკლი ლეონიძე, რომელმაც კომისიის წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტს საჯაროდ აქვს გაცხადებული პოზიცია და მიუხეობს მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სიის გადმოუცემლობის თაობაზე. მისი მოსაზრებით, იურიდიული ფაკულტეტის ამგვარი გადაწყვეტილებაც ერთგვარი პოზიციაა და დაუშვებელია ამგვარად გამოვლენილი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედება საარჩევნო კომისიის მიერ სტუდენტური თვითმმართველობისადმი მიმართვისა და სიის გამოთხოვის გზით. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირებაში სტუდენტური თვითმმართველობის მე-7 მოწვევის დელეგატები ა/წ 16 ივლისის შემდგომი პერიოდიდან აღარ იღებენ მონაწილეობას და ამის თაობაზე არც პრეტენზია განუცხადებიათ მათ. მან დაამატა, რომ 10 ოქტომბერს შედგება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები, ხოლო 11 ოქტომბრის მოცემულობით ახალი მოწვევის დელეგატები იქნებიან წარმოდგენილნი. შესაბამისად, ბ.-ნმა ირაკლიმ განაცხადა უარი იურიდიული ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი სიის შევსებაზე სტუდენტური თვითმმართველობისაგან მე-7 მოწვევის დელეგატთა სიის გამოთხოვის გზით.

ბ.-ნმა დავითმა აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიას ევალება სამართლებრივად სწორი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება, რაც მოცემულ შემთხვევაში იქნება სტუდენტური თვითმმართველობის ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საარჩევნო პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიის დისკრეცია გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში არსებული შესაძლო კანონიერი გადაწყვეტილებებიდან მიღებულ იქნას ყველაზე ოპტიმალური და მართლზომიერი გადაწყვეტილება. ბ.-ნმა დავითმა აღნიშნა, რომ სხვა ალტერნატივების და განსხვავებული პოზიციების შეფასების შემდგომ, პოზიცია, ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტუდენტების ჩართულობა, მისი შეხედულებით, არის ყველაზე რაციონალური მოცემულ შემთხვევაში. ქ.-ნმა მაიამ დაამატა, რომ თითოეული წევრი წარმოადგენს თავისი ფაკულტეტის პოზიციას, შესაბამისად, წევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და გამოვლენილი ნება შეესაბამება საკუთარი ფაკულტეტის ოფიციალურ პოზიციას.

კომისიის წევრებს სიტყვით მიმართა ქ.-ნმა ანამ და ამოიკითხა ამონარიდი თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ბ.-ნ არჩილ კუკულავას 2021 წლის 27 სექტემბრის წერილი № 19415/10, რომლის თანახმად: „*ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრების არჩენებში ამომრჩევლის სტატუსი და არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეთ იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან სტუდენტთა თვითმმართველობის მოქმედი წარმომადგენლები და ამავდროულად გააჩნიათ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრის მოქმედი სტატუსი.*“ ქ.-ნმა ანამ განმარტა, რომ წინამდებარე პოზიციით იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის სამართლებრივი შეფასება არ ადასტურებს მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების საკითხსა და მის მონაწილეობას საარჩევნო პროცესში; მეორე მხრივ, კომისია

მოკლებულია უფლებამოსილებას შეიჭრას ფაკულტეტის ავტონომიაში და თვითნებურად მიიღოს გადაწყვეტილება მის მიერ წარმოდგენილი სიის კორექტირებაზე.

კენჭი ეყარა შემდეგ ორ წინადადებას:

1. 4. იურიდიული ფაკულტეტის ამომრჩეველთა სიაში ამავე ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტების გათვალისწინების მიზნით თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისაგან იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტების სიის გამოთხოვის საკითხი.
2. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების გადავადების საკითხი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გამართვისა და ახალი მოწვევის უფლებამოსილების ცნობამდე.

კენჭისყრის შედეგები:

პირველი საკითხი მხარდაჭერილ იქნა კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

კერძოდ, თანახმაა კომისიის 5 (ხუთი) წევრი:

1. მაია არჩუაძე;
2. დემურ სიჭინავა;
3. დავით მახვილაძე;
4. მირანდა მიქაძე;
5. სალომე ჩიტიშვილი;

ხოლო უარი განაცხადა კომისიის 2 (ორი) წევრმა:

1. ანა თოხაძე;
2. ირაკლი ლეონიძე.

მეორე საკითხი მხარდაჭერილ იქნა კომისიის 2 (ორი) წევრის მიერ:

1. ანა თოხაძე;
2. ირაკლი ლეონიძე.

ხოლო უარი განაცხადა კომისიის 5 (ხუთი) წევრმა:

1. მაია არჩუაძე;
2. დემურ სიჭინავა;
3. დავით მახვილაძე;
4. მირანდა მიქაძე;
5. სალომე ჩიტიშვილი;

დაადგინეს:

გიურიდიული ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ამომრჩეველთა სიის შევსების მიზნით გამოთხოვნილ იქნას მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობისაგან იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და მათ შორის, ფაკულტეტის საბჭოში მყოფი სტუდენტების სია დაზუსტებული მონაცემების მითითებით (გვარი, სახელი, პირადი ნომერი, უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი).

თავმჯდომარე, მაია არჩუაძე



მდივანი, ანა თოხაძე




წევრები:


1. დემურ სიჭინავა




2. დავით მახვილაძე




3. მირანდა მიქაძე



4. სალომე ჩიტიშვილი



5. ირაკლი ლეონიძე



დანართი № 1: რექტორის 2021 წლის 5 ოქტომბრის № 192/01-01 ბრძანება „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 17 სექტემბრის N165/01-01 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“.

დანართი № 2: საარჩევნო კომისიის 22 სექტემბრის სამუშაო შეხვედრის ოქმი № 1; საარჩევნო კომისიის 29 სექტემბრის სამუშაო შეხვედრის ოქმი № 2; საარჩევნო კომისიის 2 ოქტომბრის სამუშაო შეხვედრის ოქმი № 3; საარჩევნო კომისიის 4 ოქტომბრის სამუშაო შეხვედრის ოქმი № 4.



საქართველოს იურიდიული უნივერსიტეტი –
თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორის ბრძანება

N 192/01-01
05/10/2021

192-01-01-4-202110051349



„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 17 სექტემბრის N165/01-01 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე,

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 17 სექტემბრის N165/01-01 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით, ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ა) მაია არჩუაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი. კომისიის წევრი;“

2. წინამდებარე ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

4. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
7. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

გიორგი შარვაშიძე

რექტორი



სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

22 სექტემბერი, 2021 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|--------------------------------|----------------------|
| 1. მაია არჩუაძე (თავმჯდომარე); | 5. მირანდა მიქაძე; |
| 2. დემურ სიჭინავა; | 6. სალომე ჩიტიშვილი; |
| 3. ანა თოხაძე; | 7. ირაკლი ლეონიძე. |
| 4. დავით მახვილაძე; | |

დღის წესრიგი:

- აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა;
- აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებზე კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის განსაზღვრის, საარჩევნო კომისიისადმი განცხადების ფორმის დამტკიცებისა და ინფორმაციის თსუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების საკითხი;
- აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების ფორმატისა და დროის განსაზღვრა;
- აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილე აკადემიური პერსონალის საკონტაქტო ინფორმაციის დაზუსტების საკითხი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) დეპარტამენტის მიერ საარჩევნო პროცესის მხარდაჭერის საკითხი;
- აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის მონაწილეობის საკითხი.
- საარჩევნო კომისიის მომდევნო სხდომების დისტანციური ფორმით გამართვის თაობაზე.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

- აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა.

აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ საარჩევნო კომისიის წევრებს წარუდგინა წინადადება ანა თოხაძის საარჩევნო კომისიის მდივნად არჩევის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის მდივნად არჩეულ იქნას ანა თოხაძე.

2. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებზე კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის განსაზღვრის, საარჩევნო კომისიისადმი განცხადების ფორმის დამტკიცებისა და ინფორმაციის თსუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და შესაბამისი ინფორმაციის თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით საარჩევნო კომისიისადმი განცხადების ფორმა (დანართი № 1) და წარსადგენ დოკუმენტთა წინამდებარე ნუსხა:

ა) განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე (იხ. დანართი № 1)

ბ) მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი)/სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლის დამადასტურებელი ცნობა აფილირების მითითებით.

კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით, განცხადება და სხვა დოკუმენტები წარმოდგენილ იქნეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 1, უნივერსიტეტის პირველი აკად. კორპუსი, ოთახი № 114. ინფორმაცია განთავსდეს თსუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე: <www.tsu.ge>.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებზე კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით საარჩევნო კომისიისდმი განცხადების ფორმა (დანართი № 1) და წარსადგენ დოკუმენტთა წინამდებარე ნუსხა:

ა) განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე (იხ. დანართი № 1)

ბ) მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი)/სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლის დამადასტურებელი ცნობა აფილირების მითითებით.

კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით, განცხადება და სხვა დოკუმენტები წარმოდგენილ იქნეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 1, უნივერსიტეტის პირველი აკად. კორპუსი, ოთახი № 114. ინფორმაცია განთავსდეს თსუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე: <www.tsu.ge>.

3. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების ფორმატისა და დროის განსაზღვრა.

კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა წინადადება აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების საარჩევნო დღეს 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, ელექტრონული (დისტანციური) ფორმატით ჩატარების და შესაბამისი საარჩევნო პლატფორმის გამოყენების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები ყველა ფაკულტეტზე ჩატარდეს საარჩევნო დღეს 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, ელექტრონული (დისტანციური) ფორმატით შესაბამისი პლატფორმის გამოყენებით.

4. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილე აკადემიური პერსონალის საკონტაქტო ინფორმაციის დაზუსტების საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა წინადადება რომ დაევალოს თითოეული ფაკულტეტის წარმომადგენელ კომისიის წევრს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტიდან მიღებული აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილე აკადემიური პერსონალის საკონტაქტო ინფორმაციის (ელ. ფოსტისა და მობილური ტელეფონის ნომრის) დაზუსტება

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დაევალოს თითოეული ფაკულტეტის წარმომადგენელ კომისიის წევრს. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილე აკადემიური პერსონალის საკონტაქტო ინფორმაციის (ელ. ფოსტისა და მობილური ტელეფონის ნომრის) ა დაზუსტება ინფორმაციის მიწოდება

5. საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) დეპარტამენტის მიერ საარჩევნო პროცესის მხარდაჭერის საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა წინადადება აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო პროცესის ტექნიკური მხარდაჭერის, შესაბამისი საარჩევნო პლატფორმის გამართულად ფუნქციონირების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) დეპარტამენტის მიერ საარჩევნო პლატფორმის მოხმარების ინსტრუქციისა და ვიდეორგოლის შექმნის და მათი თსუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო პროცესის ტექნიკური მხარდაჭერის, შესაბამისი საარჩევნო პლატფორმის გამართულად ფუნქციონირების მიზნით, დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) დეპარტამენტს საარჩევნო პლატფორმის მოხმარების ინსტრუქციისა და ვიდეორგოლის შექმნა და მათი თსუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

6. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის მონაწილეობის საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილე აკადემიური პერსონალის სია, მათ შორის, სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის საკითხი. კერძოდ, ქ.-ნმა მაიამ აღნიშნა, რომ არჩევნებში მონაწილეთა სიას აკლდა იურიდიული ფაკულტეტისა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა სია.

აღნიშნულზე აზრი გამოთქვას იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტმა — ანა თოხაძემ, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის სპეციალისტმა — ირაკლი ლეონიძემ, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწემ — სალომე ჩიტიშვილმა და ისაუბრეს მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის, მაშასადამე, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე. კერძოდ, სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა არჩულ იქნა 2018 წელს, ორი წლის ვადით, ხოლო მოცემული მდგომარეობით, მისი უფლებამოსილების ორწლიანი ვადა ისევ, როგორც ექვსთვიანი ვადა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების გახანგრძლივებას მომდევნო არჩევნების ჩანიშვნამდე, ამოწურულია. ამდენად, პრობლემური გახდა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის მონაწილეობის საკითხი.

აღნიშნულს ასევე გამოეხმაურნენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კონსულტანტი — დავით მახვილაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი — მირანდა მიქაძე და დადგინდა, რომ ფაკულტეტების ნაწილს წინამდებარე საკითხზე განსხვავებული მიდგომები გააჩნიათ. კერძოდ, ზოგიერთ ფაკულტეტზე სტუდენტური თვითმმართველობა კვლავ განაგრძობს უფლებამოსილების ფარგლებში თავის საქმიანობას.

კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაიამ კომისიის წევრებს მიმართა სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტისაგან წინამდებარე საკითხზე წერილობითი განმარტების გამოთხოვის წინადადებით, კერძოდ, იმის თაობაზე, თუ რამდენად დასაშვებია აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარება სტუდენტური თვითმმართველობის მონაწილეობის გარეშე და რამდენად ლეგიტიმურია არჩევნებში სტუდენტთა იმ ნაწილის მონაწილეობა, რომლებიც უფლებამოსილების ვადის ამოწურვის მიუხედავად, კვლავ „აქტიური“ სტატუსის მატარებლები არიან.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

გამოთხოვილ იქნას სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტისაგან წერილობითი განმარტება სსიპ — ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის აკადემიური საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე.

7. საარჩევნო კომისიის მომდევნო სხდომების დისტანციური ფორმით გამართვის თაობაზე.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა წინადადება საარჩევნო კომისიის მომდევნო სხდომების დისტანციური ფორმით, ე. წ. “Zoom”-ის ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ჩატარების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:


საარჩევნო კომისიის მომდევნო სხდომები გაიმართოს დისტანციური ფორმით, ე. წ. “Zoom”-ის ონლაინ პლატფორმის მეშვეობით.


თავმჯდომარე, მაია არჩუაძე 


მდივანი, ანა თოხაძე 


წევრები:

1. დემურ სიჭინავა 

2. დავით მახვილაძე 

3. მირანდა მიქაძე 

4. სალომე ჩიტიშვილი 

5. ირაკლი ლეონიძე 

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების მიზნით
შექმნილ საარჩევნო კომისიას

(სახელი, გვარი)

მცხოვრები -----

საკონტაქტო ინფორმაცია(ტელ/ელ-ფოსტა) :-----

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დაარეგისტრირდეთ ჩემი კანდიდატურა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის
მისაღებად -----
-----.

(ფაკულტეტი/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული)

თანდართული დოკუმენტები:

1. მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი ☐
2. ავტობიოგრაფია (CV) ☐
3. ცნობა სამუშაო ადგილიდან ☐

ვადასტურებ, რომ სხვა სამეცნიერო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ
მიკავია აკადემიური, ადმინისტრაციული ან სამეცნიერო თანამდებობა.

გვერდების რაოდენობა _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____ 2021 წელი

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის დისტანციური სხდომის

ოქმი № 2

29 სექტემბერი, 2021 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|--------------------------------|----------------------|
| 1. მაია არჩუაძე (თავმჯდომარე); | 5. მირანდა მიქაძე; |
| 2. დემურ სიჭინავა; | 6. სალომე ჩიტიშვილი; |
| 3. ანა თოხაძე; | 7. ირაკლი ლეონიძე. |
| 4. დავით მახვილაძე; | |

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილე სტუდენტური თვითმმართველობის საკონტაქტო ინფორმაციის დაზუსტების საკითხი;
2. IT დეპარტამენტის მიერ აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილე პირთა პერსონალური მონაცემების ბაზაში განთავსების და საარჩევნო ბაზის ტექნიკურ გამართულობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილე სტუდენტური თვითმმართველობის საკონტაქტო ინფორმაციის დაზუსტების საკითხი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ საარჩევნო კომისიის წევრებს წარუდგინა სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ბ.-ნ არჩილ კუკულავას 2021 წლის 27 სექტემბრის წერილი № 19415/10 (იხ. დანართი № 1) კერძოდ, იმის თაობაზე, თუ რამდენად დასაშვებია აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარება სტუდენტური თვითმმართველობის მონაწილეობის გარეშე და რამდენად ლეგიტიმურია არჩევნებში სტუდენტთა იმ ნაწილის მონაწილეობა, რომლებიც უფლებამოსილების ვადის ამოწურვის მიუხედავად, კვლავ „აქტიური“ სტატუსის მატარებლები არიან. ზემოაღნიშნული წერილის თანახმად: „*ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსი და არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეთ იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან სტუდენტთა თვითმმართველობის მოქმედი წარმომადგენლები და ამავდროულად გააჩნიათ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს*

წევრის მოქმედი სტატუსი. “წერილის ციტირებული პასაჟის შინაარსობრივი განმარტება გახდა კომისიის წევრთა მიერ მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის აკადემიური საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე აზრთა გაცვლისა და ფაკულტეტების პოზიციათა წარდგენის მიზეზი.

კომისიის წევრების მიერ ასევე გამოითქვა მოსაზრება, მხარდაჭერილ იქნეს აკადემიური საბჭოს არჩევნების გადავადების საკითხი იმდენად, რამდენადაც კომისიისთვის გაურკვეველია მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის აკადემიური საბჭოს მიმდინარე არჩევნებში მონაწილეობის საკითხი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ საარჩევნო კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით, ფაკულტეტების მიერ მოწვდილი აკადემიური პერსონალის საარჩევნო სიები დაზუსტებული მონაცემებით გადაეგზავნოს პერსონალის მართვის დეპარტამენტს, რათა მოხდეს კიდევ ერთხელ პერსონალური მონაცემების გადამოწმება და შემდეგ მათ მიერ თავიდან გადმოგზავნილი საარჩევნო სიები გადაეცეს IT დეპარტამენტს ბაზაში განსათავსებლად. საარჩევნო სია იქნას დამტკიცებული იმ შემადგენლობით, რა შემადგენლობითაც პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ იქნება მოწოდებული იმდენად, რამდენადაც სიის სისწორესა და შინაარსობრივ მხარეზე პასუხისმგებლობის მატარებელია ფაკულტეტი და არა საარჩევნო კომისია. რაც შეეხება სტუდენტების მონაწილეობას საარჩევნო პროცესში, ქ.-ნმა მაიამ აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიის პრეროგატივას სცდება ამომრჩევლის სტატუსით სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის უფლებამოსილებაზე გადაწყვეტილების მიღება. კომისიის კომპეტენცია ამომრჩეველთა სიების დამტკიცებაა. სიები რომ იყოს ზუსტი, კომისიის წევრების მიერ საჭირო იქნება აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ამომრჩევლის რანგში მონაწილე შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოებში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტ-წევრთა საკონტაქტო ინფორმაციის (ელ. ფოსტისა და მობილური ტელეფონის ნომრის) დაზუსტების მიზნით ფაკულტეტების ინფორმირება. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სტუდენტური სიების სიზუსტის დაცვის მიზნით, შესაძლებელია მოხდეს მათი შედარება მის მიერ სტუდენტური თვითმმართველობისაგან გამოთხოვილ სიებთან.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწემ — სალომე ჩიტიშვილმა აღნიშნა, რომ წინამდებარე საკითხზე იმსჯელა ფაკულტეტმა და კომისიას მიაწოდა მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ოთხი დელეგატის სია, რომელსაც გააჩნია ფაკულტეტის საბჭოს წევრის მოქმედი, აქტიური სტატუსი. ქ.-ნმა სალომემ აღნიშნა, რომ კომისიის კომპეტენციას სცდება მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის, მათ შორის, აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების გადავადების რეკომენდაციის საკითხზე მსჯელობა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი — მირანდა მინდაძე დაეთანხმა ქ.-ნი სალომეს პოზიციას და აღნიშნა, რომ ამჟამად კომისიისთვის გამოგზავნილი სია შეიცავს სწორ ინფორმაციას ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური სტატუსის მქონე წევრთა შესახებ. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ კომისიის კომპეტენციას სცდება მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების საკითხზე მსჯელობა.

აღნიშნულზე განსხვავებული აზრი გამოთქვეს იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტმა — ანა თოხაძემ და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის სპეციალისტმა — ირაკლი ლეონიძემ. აღნიშნა, რომ შესაბამისი უფლებამოსილების არქონის გამო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით ვერ ისარგებლებენ მე-7 მოწვევის სტუდენტური

თვითმმართველობის დელეგატები. ასევე ითქვა, რაკი საარჩევნო კომისია ინფორმირებულია მე-7 მოწვევის უფლებამოსილების პრობლემურობის საკითხზე, შესაბამისი ფაკულტეტების მიერ მიწოდებული სიის „ბრმად“ დამტკიცების გზით, უფლებამოსილების არმქონე სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებისათვის ამომრჩევლის სტატუსისა და ხმის უფლების მინიჭება იქნება საარჩევნო პროცესის და მისი შედეგების ლეგიტიმაციისთვის, ნამდვილობისთვის სამართლებრივი რისკისა და პრობლემის შემქმნელი. ბ.-ნმა ირაკლიმ დამატებით აღნიშნა, რომ მოცემულ ვითარებაში აკადემიური საბჭოს არჩევნების გადავადება იქნება ყველაზე კეთილგონივრული და ნეიტრალური პოზიცია მხარდაჭერილი საარჩევნო კომისიის მიერ. ამასთანავე, მისი მოსაზრებით, საარჩევნო კომისიის მიერ სიის დამტკიცება, გარკვეულწილად, ნიშნავს იმ სიის შემადგენლობის აღიარებას, რომელიც შესაბამისი ფაკულტეტების მიერ იქნება წარმოდგენილი და განხორციელდება საარჩევნო ხმის უფლების მინიჭება მათ შორის უფლებამოსილების არმქონე სტუდენტური თვითმმართველობის ნაწილისთვის. აღნიშნული მოცემულობით სიის დამტკიცება სტუდენტური თვითმმართველობის ამომრჩევლის სტატუსით მონაწილეობის ერთიანობას ვერ განაპირობებს და ამ ნაწილში შესაბამისი პასუხისმგებლობის მატარებელი იქნება საარჩევნო კომისიაც.

იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტმა — ანა თოხაძემ კომისიის წევრებს გააცნო იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საჯარო [მიმართვა](#) და ერთსულოვანი პოზიცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, შეეხება მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების არქონის მიუხედავად, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფაკულტეტების საბჭოების მუშაობისთვის, ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისა და მისი შემდგომი ლეგიტიმაციისათვის გარკვეული სამართლებრივი რისკების შექმნას. მან კომისიის წევრებს განუმარტა, რომ მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი ორწლიანი ვადა ამოიწურა 2020 წლის ნოემბერში, ხოლო დამატებითი ექვსთვიანი ვადა — 2021 წლის მაისში გამომდინარე სტუდენტური თვითმმართველობის დებულების 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტიდან. დასახელებული დებულებით მკაფიოდ განისაზღვრება არჩევნების გადავადების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ადგენს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გადავადების შესაძლებლობას მხოლოდ მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ისიც ერთჯერადად, მაქსიმალური ექვსი თვის ვადით. მან ასევე აღნიშნა, რომ 2021 წლის მაისში მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ხელმეორედ, დამატებით ექვსი თვის ვადით, კერძოდ, 2021 წლის ნოემბრის ჩათვლით უფლებამოსილების გახანგრძლივება წარმოადგენს ზემოხსენებული დებულების დარღვევას, ხოლო მეორე მხრივ, არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, ოქტომბრის თვეში სტუდენტური თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნების ჩანიშვნა მოწმობს უფლებამოსილების საკითხის პრობლემურობას. დამატებით ითქვა, რომ აღნიშნულის თაობაზე უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იურიდიული ფაკულტეტის მხრიდან არაერთხელ იქნენ ინფორმირებულნი. ქ.-ნმა ანამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სულ მცირე უხერხულობას წარმოადგენს იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ერთსულოვანი პოზიციის გაუთვალისწინებლობა და მისი სამართლებრივი შეფასების სისწორეში ექვსი შეტანა, მით უფრო იმის კვალობაზე, რომ აღნიშნული საკითხი ამ დრომდე მოუგვარებელია უნივერსიტეტში და აკადემიური საბჭოს საარჩევნო კომისიისთვისაც ჩიხური მდგომარეობის შემქმნელი აღმოჩნდა. დამატებით მან აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტის საბჭომ შეისწავლა და იმსჯელა ფაკულტეტის საბჭოში შემავალი სტუდენტური თვითმმართველობის მე-7 მოწვევის დელეგატთა უფლებამოსილების საკითხზე და საბჭოს მუშაობისათვის, მის წიაღში არაუფლებამოსილ წევრთა მონაწილეობით მიღებულ გადაწყვეტილებათა არაკანონიერების თავიდან არიდების მიზნით, მიიღო

გადაწყვეტილება შესაბამისი უფლებამოსილების არმქონე დელეგატთა ამორიცხვის თაობაზე. შესაბამისად, მისი პოზიციით, შექმნილ მოცემულობაში მიზანშეწონილ გადაწყვეტილებას წარმოადგენს საარჩევნო კომისიის საქმიანობის დროებით შეჩერება სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გამართვისა და ახალი მოწვევის უფლებამოსილების ცნობამდე; წინადადება საარჩევნო პროცესში სტუდენტური თვითმმართველობის მე-7 მოწვევის წევრთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საკონტაქტო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე ვერ იქნება მხარდაჭერილი მე-7 მოწვევის უფლებამოსილების პრობლემურობიდან გამომდინარე.

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კონსულტანტმა, დავით მახვილამემ და გამოეხმაურა ქ.-ნ მირანდასა და ქ.-ნ სალომეს პოზიციებს. მან აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის არსი მოიაზრებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მისი საქმიანობის განხორციელებას და საუნივერსიტეტო პროცესებში მისი მონაწილეობა გულისხმავს სტუდენტთა ხმის გაჟღერებას, მათ აქტიურ წარმომადგენლობას. შესაბამისად, მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილებისა და ლეგიტიმაციის საკითხი გამიჯნულ უნდა იქნას საარჩევნო კომისიის საქმიანობისაგან. ბ.-ნმა დავითმა აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების შეჩერება არცერთ მმართველ სუბიექტს და ორგანოს არ გააჩნია. ამდენად, საარჩევნო კომისიის საქმიანობის განსახორციელებლად გამოთხოვილ უნდა იქნას ამომრჩევლის სტატუსით მონაწილე პირთა სია შესაბამისი სუბიექტებისაგან, რომლებიც არიან: შესაბამისი ფაკულტეტი, პერსონალის მართვის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული და დამტკიცებულ იქნას საარჩევნო კომისიის მიერ მათი წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული მოცემულობის არარსებობა კი გამოიწვევს სიის დამტკიცების შეუძლებლობას. მისი აზრით, საარჩევნო კომისიის კომპეტენციის მიღმა საკითხების კვლევა-ძიებით, საარჩევნო კომისია უნებურად ხდება პრობლემური საკითხისა და პროცესის თანამონაწილე. ბ.-ნი დავითის სიტყვას გამოეხმაურა და დაეთანხმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ბ.-ნი დემურ სიჭინავა და მხარი დაუჭირა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ამომრჩევლის რანგში მონაწილე შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოებში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტ-წევრთა საკონტაქტო ინფორმაციის ფაკულტეტებისაგან გამოთხოვის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება დადებითად იქნა მიღებულია, კერძოდ, საარჩევნო კომისიის 5 (ხუთი) წევრის მხარდაჭერით. გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საარჩევნო კომისიის 2 (ორმა) წევრმა.

დაადგინეს:

ფაკულტეტებიდან გამოთხოვილ იქნას აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილე შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოს შემადგენლობაში არსებული სტუდენტური თვითმმართველობის მე-7 მოწვევის დელეგატთა სია და საკონტაქტო ინფორმაცია.

2. IT დეპარტამენტის მიერ აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილე პირთა პერსონალური მონაცემების ბაზაში განთავსების და საარჩევნო ბაზის ტექნიკურ გამართულობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ საარჩევნო კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით, რომ საარჩევნო ბაზაში ამომრჩეველთა მონაცემები შევიდეს პერსონალის მართვის დეპარტამენტიდან მოწოდებული სიის შესაბამისად თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) დეპარტამენტის მიერ და ამავე დროს იყოს პასუხისმგებელი საარჩევნო ბაზის ტექნიკურ გამართულობასა და უსაფრთხოების დაცვაზე. ასევე, საარჩევნო შედეგების ამსახველ ანგარიშში (რეპორტში) მიეთითოს სრული ინფორმაცია ბაზაში რეგისტრირებული ამომრჩევლის სრულ რაოდენობაზე, ასევე სრული ინფორმაცია ელექტორატის აქტივობის, რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობის, ამომრჩეველთა პროცენტული თანაფარდობის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო ბაზაში ამომრჩეველთა მონაცემები შევიდეს პერსონალის მართვის დეპარტამენტიდან მოწოდებული სიის შესაბამისად თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) დეპარტამენტის მიერ და ამავე დროს იყოს პასუხისმგებელი საარჩევნო ბაზის ტექნიკურ გამართულობასა და უსაფრთხოების დაცვაზე. ასევე, საარჩევნო შედეგების ამსახველ ანგარიშში (რეპორტში) მიეთითოს სრული ინფორმაცია ბაზაში რეგისტრირებული ამომრჩევლის სრულ რაოდენობაზე, ელექტორატის აქტივობის, რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობის, ამომრჩეველთა პროცენტული თანაფარდობის შესახებ.

თავმჯდომარე, მაია არჩუაძე



მდივანი, ანა თოხაძე




წევრები:

1. დემურ სიჭინავა




2. დავით მახვილაძე



3. მირანდა მიქაძე



4. სალომე ჩიტიშვილი



5. ირაკლი ლეონიძე



N 19415/10

27/09/2021

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარეს მაია არჩუაძეს

ქალბატონო მაია,

თქვენი 2021 წლის 23 სექტემბრის №15195/10-02 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური პერსონალის ყველა წევრის, დამოუკიდებელი სამეცნიეროკვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

აღნიშნულ საკითხს აზუსტებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც აკადემიური საბჭოს წევრები პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩევიან - ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრები - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ.

ყოველივე ზემოხსენებულიდან დგინდება, რომ ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსი და არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეთ იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან სტუდენტთა თვითმმართველობის მოქმედი წარმომადგენლები და ამავდროულად გააჩნიათ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრის მოქმედი სტატუსი.

პატივისცემით,

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი



სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის დისტანციური სხდომის

ოქმი № 3

2 ოქტომბერი, 2021 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|--------------------------------|----------------------|
| 1. მაია არჩუაძე (თავმჯდომარე); | 5. მირანდა მიქაძე; |
| 2. დემურ სიჭინავა; | 6. სალომე ჩიტიშვილი; |
| 3. ანა თოხაძე; | 7. ირაკლი ლეონიძე. |
| 4. დავით მახვილაძე; | |

დღის წესრიგი:

1. მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობისგან გამოთხოვილი სიების დამტკიცების ინიციატივა;

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობისგან გამოთხოვილი სიების დამტკიცების ინიციატივა.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ საარჩევნო კომისიის წევრებს წარუდგინა სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფ. თამარ ზარანდიას ა/წ 1 ოქტომბრის წერილი № 20014/31-05 (დანართი № 1), იურიდიული ფაკულტეტის პოზიცია თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა 11 ოქტომბერს ჩანიშნული არჩევნების გამართვისა და მასში თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მე-7 მოწვევის დელეგატების ამომრჩევლის სტატუსით მონაწილეობის თაობაზე. კერძოდ, წერილში აღნიშნულია, რომ იურიდიული ფაკულტეტი ცალსახად ცნობს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სტუდენტური თვითმმართველობის ზოგად უფლებას, მიიღოს მონაწილეობა თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნებში.

ზემოხსენებულ წერილში წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი ორწლიანი ისე, როგორც დამატებითი ექვსთვიანი ვადა ამოიწურა 2021 წლის მაისში. აღნიშნული თაობაზე და შესაბამისი რეაგირების მიზნით ფაკულტეტმა მიმართა უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, თავდაპირველად მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, მეორედ კი — უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდგომ. წერილში აღნიშნულია, რომ იურიდიულმა

ფაკულტეტმა იმსჯელა მის შემადგენლობაში არსებული სტუდენტ-წერთა უფლებამოსილების ვადის თაობაზე და არაუფლებამოსილი წევრების მონაწილეობით მიღებული საბჭოს გადაწყვეტილებების არაკანონიერების თავიდან არიდების მიზნით, იურიდიული ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სტუდენტ-წერთა ამორიცხვის თაობაზე. იურიდიული ფაკულტეტის შეფასებით, მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა მონაწილეობა თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნებში, არის არჩევნებისა და მისი შედეგის ლეგიტიმაციისათვის სამართლებრივი რისკის შემქმნელი გარემოება გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობიდან და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებიდან.

ქ.-ნმა მაია არჩუაძემ განაცხადა, რომ საარჩევნო კომისიის წინა შეხვედრები დაეთმო იმ მიზეზების განხილვას, თუ რა დაედო საფუძვლად თვითმმართველობის წევრი დელეგატების ამორიცხვას იურიდიული ფაკულტეტის საბჭოდან. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისია არ არის განმხილველი ორგანო, კომისია არ განიხილავს არც ერთი ორგანოს სტატუსის ლეგიტიმაციას, რადგან აღნიშნული საარჩევნო კომისიის კომპეტენციის საზღვრებს სცილდება, მისი თქმით, საარჩევნო კომისია არის უფლებამოსილი ორგანო, ჩაატაროს თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნები და ვალდებულია იმოქმედოს მისი კომპეტენციის ფარგლებში. ქ.-ნმა მაიამ აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობს ორი ძირითადი აქტით, კერძოდ, უნივერსიტეტის წესდებითა და „აკადემიური საბჭოს არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის დადგენილების 1-ლი დანართის „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესით“, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია შექმნილ ვითარებაში ყველაზე რელევანტური გადაწყვეტილების მიღება. როგორც ქ.-ნმა მაიამ აღნიშნა, სტუდენტთა უფლებამოსილებას განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობა იმდენად, რამდენადაც სტუდენტურ თვითმმართველობას შეყავს მისი დელეგატი ფაკულტეტის საბჭოში. ქ.-ნმა მაიამ აღნიშნა, რომ „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესი“ არ ითვალისწინებს ნორმას, რომელიც მიემართება შექმნილ მდგომარეობას; ამასთანავე, დასახელებული აქტის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, *„საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით“*. ქ.-ნმა მაიამ, განაცხადა, რომ „აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის მუხლი 2, პუნქტი 5“-ში წერია „საარჩევნო კომისიის უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით“ და რადგანაც ჩვენი ფუნქცია სწორედ არჩევნების ორგანიზებაა, ხომ არ გვაძლევს ეს პუნქტი იმის შესაძლებლობას, რომ არჩევნებისათვის დამტკიცებული იქნას სტუდენტური თვითმმართველობიდან გამოთხოვილი სიები. აღნიშნულ საკითხზე კომენტარი გააკეთა ქ.-ნმა ანა თოხაძემ. მან განმარტა, რომ სიების გამოთხოვის და დამტკიცების საკითხი არ არის საორგანიზაციო საკითხი.

ქ.-ნი მაიას აზრით, იურიდიული ფაკულტეტის მიერ გადმოცემული მხოლოდ აკადემიური პერსონალის სიის დამტკიცების შემთხვევაში, გამოდის, რომ საარჩევნო კომისია აღიარებს იმ იურიდიულ ფაქტს, რომელიც უკავშირდება მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა უფლებამოსილების არქონას.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწემ — ქ.-ნმა სალომე ჩიტიშვილმა აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიის წინა სხდომების ფარგლებში ითქვა, რომ საარჩევნო კომისია ამტკიცებს ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილ სიას. მან აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტის თვითმმართველობის არჩევნები ჩანიშნულია 10 ოქტომბერს და 11 ოქტომბერს ვეღარ ეყოლება ის შემადგენლობა, რომელიც წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის მე-7 მოწვევას. აღნიშნულს გამოეხმაურა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი — ქ.-ნმა მირანდა მინდაძე კითხვით, თუკი სტუდენტური თვითმმართველობა შესაბამის ფაკულტეტებზე მოიაზრება, აქედან გამომდინარე, რატომ უნდა იქნეს დაყოფილი ეს ორი ცალ-ცალკე. ქ.-ნმა სალომემ და ქ.-ნმა მირანდამ გამოთქვეს თანმობა ფაკულტეტებისაგან გამოგზავნილი სიის დამტკიცების თაობაზე.

იმსჯელა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კონსულტანტმა — ბ.-ნმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა არის განყენებული, ცალკე ორგანიზაცია, მის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრაში დაუშვებელია ადმინისტრაციის ჩარევა, ამგვარი კომპტენცია გააჩნია მხოლოდ სასამართლოს. მეორე მხრივ, მან აღნიშნა, რომ „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესი“ არ ითვალისწინებს საარჩევნო კომისიის მიერ თვითმმართველობისაგან სიის გამოთხოვას, შესაბამისად, არ არსებობს ამგვარად დამტკიცების სამართლებრივი საფუძველი. ბ.-ნმა დავითმა აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში აჯობებს, გარკვეულ იქნას იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში არსებული სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა უფლებამოსილების საკითხი და შემდგომ იქნეს გადაწყვეტილება მიღებული. ბ.-ნმა დავითმა გამოთქვა აზრი, თუკი ხსენებული აქტის მე-7 მუხლის მიღმა კიდეც არსებობს სხვა ალტერნატივა, რეკომენდაცია, განმარტება, რომლის თანახმად შესაძლებელი იქნება სხვა სტრუქტურისაგან, მაგალითად, სტუდენტური თვითმმართველობისაგან ამომრჩეველთა სიის გამოთხოვა შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, მაშინ ოფიციალურად მოხდეს მისი დადასტურება კომპეტენტური სტრუქტურის მიერ, რომელიც გახლავთ იურიდიული დეპარტამენტი ან მისი ზემდგომი ორგანო — ან კანცლერის აპარატი, ან რექტორატი უნივერსიტეტისა. მისი მოსაზრებით, მოცემულ ვითარებაში შესაძლებელია ან დამტკიცება სიების წარმოდგენილი სახით, ან დამტკიცებულ იქნას სიები გარდა იურიდიული ფაკულტეტისა და იურიდიული ფაკულტეტის ნაწილში საკითხი იქნეს განხილული მას შემდგომ, რაც სხდომის ფარგლებში დასმულ კითხვებს გაეცემა პასუხი. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ მისთვის უცნობია იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საჯარო მიმართვისა და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის საარჩევნო კომისიისადმი წარდგენილი წერილის გარდა (მაგალითად, სასამართლოს მიერ გაცემული) სხვა ოფიციალური დოკუმენტის არსებობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწმობს მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არალეგიტიმურობასა და უფლებამოსილების არქონას. მეორე მხრივ, როგორც მან თქვა, ფაკულტეტის დეკანი არის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, მისი ოფიციალური წერილი ადასტურებს იურიდიული ფაკულტეტის საბჭოში მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა არარსებობას. შესაბამისად, ბ.-ნი დავითის თქმით, კომისია უნდა დაეყრდნოს იმ ინფორმაციას მასზედ, თუ ვინ არის ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსის მატარებელი.

ბ.-ნი დავითის სიტყვას გამოეხმაურა და დაეთანხმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ბ.-ნი დემურ სიჭინავა.

იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტმა — ანა თოხაძემ მიმართა თავმჯდომარეს მასზედ, რომ „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის“ ზოგად ნორმას წარმოადგენს მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ამავე წესის მე-7 მუხლთან მიმართებით, რომლის თანახმად: „*პერსონალის მართვის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის, შესაბამისი ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინების საფუძველზე საარჩევნო სიებს ამტკიცებს საარჩევნო კომისია*“. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისია ეყრდნობა და მოქმედებს „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის“ მიხედვით, მაშასადამე, აგრეთვე იმ ნორმის შესაბამისად, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს იმ საარჩევნო სიების

დამტიცებას, რომელიც იქნა მოწოდებული პერსონალის მართვის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის, შესაბამისი ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინების საფუძველზე. იმდენად, რამდენადაც დასახელებულ ნორმაში არ ფიგურირებს სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც ერთ-ერთი სუბიექტი, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, დამტკიცების მიზნით კომისიის მიერ სტუდენტური თვითმმართველობისაგან სიის გამოთხოვაზე იქნება „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის“ ნორმათა დარღვევა. ქ.-ნმა ანამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის წესდებისა და აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის თანახმად, ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ. ფაკულტეტის საბჭო ცნობს სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა უფლებამოსილებას, შესაბამისად, საბჭო განსაზღვავს მის წიაღში არსებულ პირთა წრეს და არა პირიქით. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი არის ზოგადი ხასიათის, ხოლო მე-7 მუხლი — სპეციალური ხასიათის, უფრო მეტიც, მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი არანაირ კავშირს ავლენს საარჩევნო სიის დამტკიცების საკითხთან, ხოლო საორგანიზაციო საკითხად ვერ იქნება მიჩნეული საარჩევნო კომისიის შინაარსობრივი კატეგორიის იმგვარი გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდება ფაკულტეტის მიერ არალეგიტიმურად ცნობილი პირების ჩართვას საარჩევნო პროცესში. სხდომის ჩატარების სიხშირე, სხდომის ჩატარების ფორმა — ეს იქნება დისტანციური თუ არა დისტანციური ფორმატი და სხვა, ე. ი. მხოლოდ ტექნიკურ-საორგანიზაციო საკითხები იკითხება მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში ნახსენებ ტერმინ „საორგანიზაციო საკითხებში“.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის სპეციალისტმა — ბ.-ნმა ირაკლი ლეონიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტისგან როდესაც არ ხდება ამომრჩეველთა სიის მიღება, კომისიის უფლებამოსილებით სიის შევსება სხვა წყაროდან არ უნდა იქნეს მიჩნეული სწორედ. მისი აზრით, მოცემულ შემთხვევაში ფაკულტეტის უფლებამოსილებას წარმოადგენს სიის გადმოცემა, ხოლო არგადმოცემის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთების წარმოდგენა, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის შემთხვევაში წერილობითი ფორმით, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფ. თამარ ზარანდიას წერილით იქნა გაცხადებული. შესაბამისად, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, შევსებულ იქნას სია სხვა წყაროდან წინააღმდეგობაში მოვა იურიდიული ფაკულტეტის ოფიციალურ პოზიციასთან, რომელიც აგრეთვე იქნა გამოხატული ოფიციალურ საჯარო მიმართებაში. მისი შეფასებით, კომისიის ამგვარი გადაწყვეტილება, კერძოდ, წარმოდგენილი სიის ჩანაცვლება ან შევსებაზე, იქნება უკანონო და აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის დარღვევა, რასაც მოჰყვება შესაბამისი სამართლებრივი შედეგები. ბ.-ნი ირაკლის თქმით, ა/წ 16 ივლისიდან მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატები ფაკულტეტის საბჭოში აღარ იღებენ მონაწილეობას, რადგან ისინი გაწვეულნი არიან, რომლის საფუძველი გახლავთ იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ოქმის სახით. თუკი საარჩევნო კომისია აღნიშნული იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის მიუხედავად დაამტკიცებს იმ სიას, რომელიც არის სხვა წყაროდან გამოხმობილი, იქნება უკანონო და შეფასდება საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების გადაჭარბებად. თავის მხრივ უფლებამოსილი ორგანოს უარი სიის წარმოდგენაზეც არის ერთგვარი პასუხი, რომელსაც ახლავს შესაბამისი დასაბუთება. ბ.-ნი ირაკლის მოსაზრებით, იქიდან გამომდინარე, რომ 10 ოქტომბერს ტარდება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები, არჩევნების შედეგების გამოვლენისა და ახალარჩეული დელეგატების პირველი სხდომის ჩატარებისთანავე, ე. ი. 11 ოქტომბერს — თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარების დღეს, სტუდენტური თვითმმართველობის ახალი მოწვევის უფლებამოსილების ვადა დაიწყებს ათვლას.



ქ.-ნმა მაიამ კითხვით მიუგო ბ.-ნ ირაკლის, კერძოდ, სამართლიანია თუ არა ის ფაქტი, რომ მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის ფარგლებში ვერ მიიღებენ მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატები საარჩევნო პროცესში მონაწილეობას იმის კვალობაზე, რომ ერთ ფაკულტეტს უპირისპირდება დანარჩენი ოთხი, რომლებიც აღიარებენ მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების სტატუსს?! გარდა ამისა, ქ.-ნი მაიას შეფასებით, დელეგატები ერთსა და იმავე პირობებში არიან არჩეულნი, შესაბამისად, რამდენად კანონიერია, რომ ერთი ფაკულტეტის გადაწყვეტილების ფარგლებში შეეზღუდოს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს საარჩევნო პროცესში მონაწილეობა?!

აღნიშნულს ქ.-ნი ანა შემდეგი ინიციატივით გამოეხმაურა: რაკი პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ზეპირსიტყვიერი რჩევა-განმარტებები, აჯობებს ყველა ასეთი რეკომენდატორის პოზიცია დაფიქსირდეს კომისიის სხდომის ფარგლებში ან ოფიციალურად წერილობითი ფორმით, თუნდაც საარჩევნო კომისიის წერილობითი შეკითხვის ან მიმართვის საპასუხოდ. მან დამატებით თქვა, რომ საარჩევნო კომისიას უკვე აქვს იურიდიული დეპარტამენტის უფროსისადმი წერილობითი კითხვით მიმართვის გამოცდილება მე-7 მოწვევის თვითმმართველობის უფლებამოსილებისა და მისი საარჩევნო პროცესში მონაწილეობის საკითხზე, რომლის საპასუხო წერილი იმდენად განზოგადებული და ორაზროვანი აღმოჩნდა, რომ საჭიროებს დამატებით ინტერპრეტაციასა და განმარტებას მისი მხრიდან.

საკითხის კენჭისყრაზე გატანას მხარი არ დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

ქ.-ნმა მაია არჩუაძემ საარჩევნო კომისიის წევრებს მიმართა ინიციატივით, წინამდებარე საკითხი ხელახლა განხილულიყო მომდევნო სხდომაზე.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის მომდევნო სხდომაზე განხილვას.

თავმჯდომარე, მაია არჩუაძე	
მდივანი, ანა თოხაძე	
წევრები:	
1. დემურ სიჭინავა	
2. დავით მახვილაძე	
3. მირანდა მიქაძე	
4. სალომე ჩიტიშვილი	
5. ირაკლი ლეონიძე	



საქართველოს იურიდიული უნივერსიტეტი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF LAW

N 20014/31-05
01/10/2021

20014-31-05-3-202110012321



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარეს,
ქალბატონ მაია არჩუაძეს

ახლო: აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსს,
ქალბატონ მზექალა აჭაიძეს

ქალბატონო მაია,

თქვენი ამა წლის 23 სექტემბრის წერილის პასუხად, გაცნობებთ იურიდიული ფაკულტეტის
პოზიციას თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა 11 ოქტომბრის ჩანიშნული არჩევნების
გამართვისა და მასში თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მე-7 მოწვევის
დელეგატების ამომრჩევლის სტატუსით მონაწილეობის თაობაზე.

უპირველესად, მოგახსენებთ, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის
მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ძირითადი
საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური პერსონალის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-
კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალისა და ძირითადი საგანმანათლებლო
ერთეულების საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა მიერ
პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრის
წესით. ამასთანავე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11
სექტემბრის № 135/წ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის
— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-7
მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური
საბჭოს წევრები პირდაპირ, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული
კენჭისყრის გზით აირჩევიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და
ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ.
„აკადემიური საბჭოს არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის
№96/2014 დადგენილების 1-ლი დანართის „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის“ მე-5
მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფაკულტეტების წარმომადგენელი
აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და

ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლობის მიერ. დასახელებული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არჩევნებში ხმის უფლების მქონე სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების სახით, არანაკლებ საბჭოს $\frac{1}{4}$ -ით, რომლის დამრგვალება ხდება სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სასარგებლოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავო ფაქტობრივ გარემოებად უნდა შეფასდეს ფაკულტეტების აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში ამომრჩევლის რანგში უფლებამოსილების მქონე სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობის ზოგადი უფლება.

მოგახსენებთ, რომ 2021 წელს თსუ-ში შექმნილი ვითარება უნივერსიტეტისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ლეგიტიმური უფლებამოსილების ამოწურვის შედეგად, საფრთხე შეექმნა უნივერსიტეტის, ფაკულტეტებისა და სტუდენტური თვითმმართველობის გამართულ ფუნქციონირებას. კერძოდ, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების 2020 წლის 23 იანვრის №014 დადგენილების თანახმად დამტკიცებულ იქნა ორგანიზაციის დებულების ახალი რედაქცია — „[ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზაციის დებულება](#)“. აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის თანახმად, დელეგატის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 2 (ორი) წელს. გაცნობებთ, რომ მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა არჩეულ იქნა 2018 წლის 16 ნოემბერს (იხ. [საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი](#)), ორი წლის ვადით, ხოლო მოცემული მდგომარეობით, მისი უფლებამოსილების ძირითადი ორწლიანი ვადა ისე, როგორც დამატებითი ექვსთვიანი ვადა, რომელიც ითვალისწინებს ერთჯერადად და მიზანშეწობილობის შემთხვევაში სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების გახანგრძლივებას მომდევნო არჩევნების ჩანიშვნამდე, ამოიწურა 2020 წლის მაისში, თანახმად ზემოხსენებული დებულების მე-2 მუხლისა და 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა.

იურიდიული ფაკულტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის ინფორმირება უფლებამოსილების არმქონე მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არალეგიტიმური ფუნქციონირების შესახებ. იურიდიული ფაკულტეტის ოფიციალურ პოზიციას წარმოადგენს თვითმმართველობის წევრი დელეგატების უფლებამოსილების ვადის გასვლის უტყუარობა და მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არალეგიტიმური ფუნქციონირების დაუშვებლობა. აღნიშნულის თაობაზე უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იურიდიული ფაკულტეტის მხრიდან ინფორმირებულ იქნენ ჯერ კიდევ 2021 წლის დასაწყისში, ზემოხსენებული ვადის ამოწურვამდე და შემდგომაც — 30 ივნისს — წერილობით (დანართის სახით იხ. კორესპონდენცია №11908/31-05), ხოლო ფაკულტეტის საბჭომ საკითხის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო 16 ივლისის სხდომაზე. ფაკულტეტის საბჭოს მსჯელობა დაეფუძნა მოსაზრებას, რომ, გადაწყვეტილებების არაკანონიერების თავიდან აცილების მიზნით, მათი მიღების პროცესში გამორიცხული უნდა ყოფილიყო არაუფლებამოსილი წევრების მონაწილეობა. რასაკვირველია, ეს გადაწყვეტილება გამოწვეული იყო ზემოაღნიშნული რისკის თავიდან აცილების მოტივით.

ამჟამადაც, მსგავსად იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს ზემოხსენებული შეფასებისა, აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში ფაკულტეტების საბჭოების წევრი მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების მონაწილეობა არის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისა და მისი შემდგომი ლეგიტიმაციისათვის სამართლებრივი რისკის შემქმნელი გარემოება. კერძოდ, მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების მონაწილეობა აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების პროცესში არის უკანონო და ეწინააღმდეგება როგორც შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებს, ისე საქართველოს კანონმდებლობას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საარჩევნო სიების დამტკიცებისას, გაითვალისწინოთ ფაკულტეტების საბჭოების წევრი მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების უფლებამოსილების არქონისა და ამ არჩევნებში მათი მონაწილეობის უკანონობის საკითხი. სამართლებრივად სწორ და მიზანშეწონილ გადაწყვეტად მივიჩნევთ აკადემიური საბჭოს წევრთა 11 ოქტომბრის არჩევნების გადავადებას სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გამართვისა და ახალი მოწვევის უფლებამოსილების ცნობამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი თარიღი შენარჩუნებული იქნება უცვლელად, იურიდიული ფაკულტეტის მხრიდან აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ აკადემიური პერსონალი.

თუკი დამატებით რაიმე საკითხი წამოიჭრება, მზად ვართ თქვენთან ერთად მათ განსახილველად.

პატივისცემით,

თამარ ზარანდია

დეკანი
ადმინისტრაცია



საქართველოს სახელმწიფო იურიდიული უნივერსიტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF LAW

N 11908/31-05
30/06/2021

11908-31-05-3-202106301304



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, ბატონ გიორგი შარვაშიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენთვის ცნობილია, რომ თსუ სტუდენტური თვითმმართველობა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის, თსუ წესდების 58-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მისივე დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, აირჩევა ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე 2 (ორი) წლის ვადით. აგრეთვე, მოგეხსენებათ, რომ თსუ სტუდენტური თვითმმართველობა არჩულ იქნა 2018 წლის 16 ნოემბერს (იხ. საარჩევნო კომისიის შემადგამელი ოქმი).

ამასთანავე, 2021 წლის 25 ივნისს იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მისმა სტუდენტმა წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი აღარ არიან სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და არ წარმოადგენენ ამ ორგანიზაციას, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, თსუ წესდების 27-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ასევე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-4 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან სწორედ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ამდენად, ცხადია, ამოწურულია სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადა და რამდენადაც ჩვენ მოკლებულნი ვართ ინფორმაციას ამ ორგანიზაციის მოქმედ პასუხისმგებელ პირთა შესახებ, გთხოვთ, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოთ იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში მისი მხრიდან ლეგიტიმური უფლებამოსილებით აღჭურვილ დელეგატთა ნომინირება. გარდა ამისა, გთხოვთ, დაინტერესდეთ სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობის შეფერხების მიზეზებით, მისი უფლებამოსილების გაახლების დაფიქსირების თვალსაზრისით და მოიძიოთ პასუხისმგებელი პირები.

პატივისცემით,

თამარ ზარანდია

დეკანი
ადმინისტრაცია

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის დისტანციური სხდომის

ოქმი № 4

4 ოქტომბერი, 2021 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|--------------------------------|----------------------|
| 1. მაია არჩუაძე (თავმჯდომარე); | 5. მირანდა მიქაძე; |
| 2. დემურ სიჭინავა; | 6. სალომე ჩიტიშვილი; |
| 3. ანა თოხაძე; | 7. ირაკლი ლეონიძე. |
| 4. დავით მახვილაძე; | |

დღის წესრიგი:

1. საარჩევნო კომისიის მიმართვა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 17 სექტემბრის № 165/01-01 ბრძანების გადახედვის თაობაზე.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. საარჩევნო კომისიის მიმართვა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 17 სექტემბრის № 165/01-01 ბრძანების გადახედვის თაობაზე.

საარჩევნო კომისიის წევრის მოთხოვნით გადამოწმდა „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 17 სექტემბრის № 165/01-01 ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, ქალბატონი მაია არჩუაძე განისაზღვრა კომისიის თავმჯდომარედ. აღნიშნულის საფუძველზე გადამოწმდა საარჩევნო კომისიის 2021 წლის 22 სექტემბრის სხდომის № 1 ოქმი, რომლის მიხედვით დღის წესრიგის პირველ საკითხად განისაზღვრა საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საარჩევნო კომისიის მიერ არ იქნა არჩეული თავმჯდომარე, ხოლო მდივანი საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ იქნა ფარული კენჭისყრის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტსა და „აკადემიური საბჭოს არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის დადგენილების 1-ლი დანართის „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის“ მე-3 მუხლის 1-ელ პუნქტს. აქედან

გამომდინარე, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ქ.-ნი მაია არჩუაძისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კონსულტანტის — ბ.-ნი დავით მახვილაძის ინიციატივით სხდომაზე კომისიის წევრებს უნდა აერჩიათ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. ბ.-ნმა დავითმა აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის დადგენილი წესით არჩევამდე, არ იქნება მართებული სხვა გადაწყვეტილებათა მიღება. აღნიშნულს დაეთანხმა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი — ქ.-ნმა მირანდა მინდაძე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით კომისიის თავმჯდომარის წინასწარ განსაზღვრის მიზეზებზე წარიმართა პოლემიკა. საკითხზე მოსაზრება გამოთქვეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწემ — ქ.-ნმა სალომე ჩიტიშვილმა, იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტმა — ანა თოხაძემ, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის სპეციალისტმა — ბ.-ნმა ირაკლი ლეონიძემ, რომლებმაც დაადასტურეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 17 სექტემბრის № 165/01-01 ბრძანებით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განსაზღვრის ფაქტი, რის გამოც ქ.-ნი მაია არჩუაძე საარჩევნო კომისიის წევრებს თავმჯდომარის რანგში წარუდგა და აღარ მოხდა პირველ სხდომაზე თავმჯდომარის ხელახლა არჩევა. ქ.-ნმა ანა თოხაძემ აღნიშნა, თუკი კომისიის თავმჯდომარის არჩევის კომპეტენცია მხოლოდ საარჩევნო კომისიას აქვს, ზემოხსენებული ბრძანება არღვევს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესს და ზღუდავს საარჩევნო კომისიის წევრთა ხმის უფლებას, რომელიც უზრუნველყოფს თავმჯდომარის არჩევის ფარული კენჭისყრის გზით. მისი თქმით, ბრძანების გამოცემის თარიღი წინ უსწრებს საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის თარიღს, შესაბამისად, სადავო გარემოებას წარმოადგენს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ბრძანების მომზადებისა და გამოცემის ეტაპზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წინსწრებით განსაზღვრის ფაქტი. მეორე მხრივ, მისი მოსაზრებით, შესაძლებელია, არსებობდეს ნორმატიული საფუძველი, რომელიც ანიჭებს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ერთპიროვნულად განსაზღვრის უფლებამოსილებას, რაც დაზუსტებულ უნდა იქნას თავმჯდომარის ხელმეორედ არჩევამდე, წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ბრძანების ნორმატიული საფუძველების შემოწმებამდე მან უარი განაცხადა სხდომაზე თავმჯდომარისა და მდივნის ხელმეორედ არჩევის საკითხის მხარდაჭერაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ სხდომის დისტანციური ფორმატი ფარული კენჭისყრის ჩატარების შესაძლებლობას არ უზრუნველყოფდა. აღნიშნულს დაეთანხმა და გამოეხმაურა ბ.-ნი ირაკლი ლეონიძე, რომელმაც დააზუსტა, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის მიმართ მოქმედებს კანონიერი ნდობა, რაც საპირისპიროს დადასტურებამდე უზრუნველყოფს აქტის ნამდვილობას. მისი განცხადებით, მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ამჟამად ქ.-ნი მაია არჩუაძე არის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც დანიშნულ იქნა შესაბამისი აქტით, ამდენად, კომისიის მიერ თავმჯდომარის უფლებამოსილების თვითნებური გადახედვა წინააღმდეგობაში მოვა ბრძანებასთან, რომლის გადახედვა და შესწორება საარჩევნო კომისიის კომპეტენციას სცილდება. მისი თქმით, აღნიშნული, საარჩევნო კომისიის საქმიანობის დროებითი შეჩერების საფუძველი უფრო არის, ვიდრე მიმდინარე სხდომაზე ხელახალი კენჭისყრის ჩატარებისა. ბ.-ნი ირაკლის მოსაზრებით, აღნიშნულზე საარჩევნო კომისიას უნდა მიემართა რექტორისათვის წერილობითი ფორმით, რადგან ხელახალი კენჭისყრის ჩატარებით საარჩევნო კომისია ვერ შეწყვეტს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

რექტორისადმი წერილობითი მიმართვის საფუძველზე გადაიხედოს „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 17 სექტემბრის № 165/01-01 ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რათა საარჩევნო კომისიას მიეცეს შესაძლებლობა უზრუნველყოს კომისიის თავმჯდომარისა და მდივანის არჩევა ფარული კენჭისყრით.

თავმჯდომარე, მაია არჩუაძე



მდივანი, ანა თოხაძე




წევრები:

1. დემურ სიჭინავა




2. დავით მახვილაძე



3. მირანდა მიქაძე



4. სალომე ჩიტიშვილი



5. ირაკლი ლეონიძე

